დაიჯესტი

20 – 26 ნოემბერი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკის შტატის სასამართლომ 30 წლის ელვის რეძეპაგიჩი ტერორისტული ორგანიზაციების, დაეშის და ალ-ნუსრას ფრონტისთვის, მატერიალური დახმარების გაწევის მცდელობაში დამნაშავედ სცნო და სასჯელის სახით 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უზენაესი სასამართლოს განცხადებით, რეძეპაგიჩი სირიაში გამგზავრებას გეგმავდა.

ახალგაზრდები ჯორჯიის შტატიდან, 23 წლის ლუკ ოსტინ ლეინსი და 21 წლის ჯეიკობ კადერლი, შტატის სასამართლომ ნეონაცისტური დაჯგუფება Base-ის წევრობასა და მკვლელობის დაგეგმვაში ბრალდებულად სცნო. სასამართლომ ლუკ ოსტინ ლეინსს 6 წლით, ხოლო ჯეიკობ კადერლს 13 წლით პატიმრობა შეუფარდა.

გასულ კვირას, ქაბულში მომხდარი თავდასხმების სერიის საპასუხოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაეშის ხორასანის პროვინციის სამ ლიდერს და ორგანიზაციის ფინანსურ ხელშეწყობაში ეჭვმიტანილ ერთ პირს ახალი ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

ერაყი

22 ნოემბერს ერაყის საჰაერო ძალებმა ჰამრინის მთებში დაეშის წინააღმდეგ საჰაერო დარტყმები განახორციელეს.

სირია

სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებთან დაკავშირებულმა ანტიტერორისტულმა შეიარაღებულმა დანაყოფებმა 20 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაეშის 4 წევრი დააკავეს.

ბაჰრეინი

ბაჰრეინის სახელმწიფო უსაფრთხოების ძალებმა 22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში შეიარაღებული პირები დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული პირები ბაჰრეინის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელებას გეგმავდნენ. ერთ-ერთი დაკავებულის საცხოვრებელი სახლიდან ჩხრეკის შედაგად ამოღებულია ირანში დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობები და ცეცხლსასროლი იარაღი.

ისრაელი

იერუსალიმში ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის თავდასხმას ისრაელის 1 მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. თავდასხმის შედეგად დაშავდა 4 ადამიანი.

იემენი

საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით კოალიციამ დასავლეთ იემენში ჰოდეიდას და ტაეზის რეგიონები ირანისგან მხარდაჭერილი, აჯანყებული ჰუსიტებისგან გაათავისუფლა.

სომალი

20 ნოემბერს ტერორისტული ორგანიზაცია ალ-შაბააბის თავდასხმას ცნობილი სომალელი ჟურნალისტი, აბდიაზიზ მოჰამედ გულედი, შეეწირა. მოჰამად გულედი რადიო „მოგადიშოსთვის“ ალ-შაბააბის მიერ განხორციელებული თავდასხმების თემაზე მუშაობდა.